ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

III ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. ტრადიციის მიხედვით, ვის უკავშირდება სპარტაში კანონების ჩამოყალიბება?

ა) კლისთენეს;

ბ) სოლონს;

გ) პერიკლეს;

დ) ლიკურგოსს.

(1) 2. რომელი მსჯელობაა მართებული ძვ. წ. 190 წელს რომის რესპუბლიკასა და სელევკიდების სამეფოს შორის გამართული ბრძოლის შედეგის შესახებ?

ა) რომმა მცირე აზიის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილში მოიკიდა ფეხი;

ბ) სელევკიდების სამეფომ დროებით შეაჩერა რომის წინსვლა ბალკანეთისკენ;

გ) სელევკიდების სამეფომ დაიბრუნა მანამდე დაკარგული ტერიტორიები;

დ) რომმა და სელევკიდების სამეფომ უცვლელად დატოვეს ომამდე არსებული საზღვრები.

(1) **3. რომელი ინფორმაცია *<u>არ არის მართებული</u>* V საუკუნის დასავლეთ რომის იმპერიის ისტორიის შესახებ?**

ა) ბარბაროსთა მეთაურმა ოდოაკრმა იმპერატორი ჩამოაგდო;

ბ) ვანდალებმა რომი აიღეს და სასტიკად დაარბიეს;

გ) ალარიხის წინამძღოლობით ვესტგოთები რომში შეიჭრნენ;

დ) ჰუნებმა იმპერატორი ბრძოლის ველზე მოკლეს.

(1) **4. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ერწუხის ბრძოლა?**

ა) განძის ათაბაგის დაუმარცხებლად რთული იყო კახეთ-ჰერეთის დაცვა;

ბ) დავით აღმაშენებელს სურდა სელჩუკთა განდევნა ქვემო ქართლის ციხეებიდან;

გ) შირვან-შაჰი უარს ამბობდა დავით აღმაშენებლის ყმადნაფიცობაზე;

დ) დავით აღმაშენებელი ცდილობდა სომხეთის გათავისუფლებას სელჩუკთაგან.

(1) **5. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია ლუი VII-სა და კონრად III-ის მეთაურობით ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა?**

ა) ეგვიპტელების მიერ დამასკოს აღებამ;

ბ) მუსლიმთა მიერ ედესის საგრაფოს დაპყრობამ;

გ) რუმის სულთნის მიერ ასკალონის ალყამ;

დ) ჯვაროსნების მარცხმა აკრასთან ბრძოლაში.

(1) **6. რა მიზნით შეხვდა საქართველოს ელჩობა რომის პაპს 1460 წელს?**

ა) სადავო საეკლესიო-დოგმატურ საკითხებზე სამსჯელოდ;

ბ) ანტიოსმალური კოალიციის საკითხების შესათანხმებლად;

გ) სეფიანთა ირანის აგრესიის გამო დახმარების სათხოვნელად;

დ) ფერარა-ფლორენციის კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

(1) 7. მოსკოვის რომელმა დიდმა მთავარმა მიიღო პირველად მეფის ტიტული?

ა) ბორის გოდუნოვმა;

ბ) ვასილი IV შუისკიმ;

გ) თევდორე I-მა;

დ) ივანე IV მრისხანემ.

(1) **8. რა უკავშირდება ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ის სახელს?**

ა) პროტესტანტული რეფორმაციის მხარდაჭერა;

ბ) ამბოხებულ ნიდერლანდელებთან ხანგრძლივი ომი;

გ) ამერიკაში პირველი ესპანური კოლონიების დაარსება;

დ) პირენეის ნახევარკუნძულიდან არაბების საბოლოო განდევნა.

(1) 9. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ აიძულა საფრანგეთის მეფე ლუი XVI, მოეწვია გენერალური შტატები?

ა) ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ;

ბ) ოცდაათწლიან ომში განცდილმა მარცხმა;

გ) ჰუგენოტებთან დაპირისპირებით გამოწვეულმა კრიზისმა;

დ) რომის პაპის მიერ საფრანგეთის მეფის ეკლესიიდან განკვეთამ.

(1) **10. რომელი მსჯელობაა მართებული სამცხე-საათაბაგოს შესახებ?**

ა) სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები მართავდნენ;

ბ) ოსმალებმა თანდათანობით დაიპყრეს სამცხე-საათაბაგო და მის ადგილზე ახალციხის საფაშო დააარსეს;

გ) ასპინძის ბრძოლაში ერეკლე II-მ გამუსლიმებული ათაბაგი დაამარცხა და სამცხე ქართლ-კახეთის სამეფოს შეუერთა;

დ) სამცხე-საათაბაგო რუსეთის მფარველობაში შევიდა და ყოველი მომდევნო ათაბაგი იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა.

(1) 11. რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ავსტრიის იმპერიაში XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს?

ა) დაწესდა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი;

ბ) გამოცხადდა ავსტრიის ფედერაციული სახელმწიფო;

გ) დასრულდა ჰაბსბურგთა დინასტიის მმართველობა;

დ) მარცხით დასრულდა უნგრელების დიდი აჯანყება.

(1) **12. რომელი მსჯელობაა მართებული გერმანიის გაერთიანების შესახებ?**

ა) ბრანდენბურგის პრემიერ-მინისტრის ოტო ბისმარკის გეგმის მოწონების შემდეგ საქსონიის მეფე სათავეში ჩაუდგა ბრძოლას გაერთიანებისათვის, რომელიც წარმატებით დასრულდა;

ბ) გენერალ მოლტკეს მიერ იტალიისა და საფრანგეთის დამარცხებამ საშუალება მისცა ბავარიის კრონპრინცს, გერმანიის გაერთიანება დაესრულებინა;

გ) პრუსიის სამეფოს მეთაურობით დაწყებული პროცესი საბოლოოდ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ვერსალში გერმანიის იმპერიის გამოცხადებით დასრულდა;

დ) გერმანია-ავსტრიის კონფედერაციის ნაცვლად, გაცილებით ცენტრალიზებული რაინის კავშირის შექმნამ მნიშვნელოვნად განაპირობა საბოლოოდ გერმანიის გაერთიანება.

(1) **13. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება?**

ა) გერმანიის ულტიმატუმმა, გაეწყვიტათ კავშირი რუსეთის კომუნისტურ ხელისუფლებასთან;

ბ) სამხრეთ კავკასიაში ჩატარებულმა საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებმა;

გ) ოსმალეთის ჯარის შეტევის განახლებამ და სამხრეთ საქართველოს დაკავებამ;

დ) რუსეთის იმპერიის დაშლის შესახებ ვერსალის კონფერენციაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ.

(1) **14. რა ეწოდება მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში დასავლეთის ფრონტზე გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთს შორის მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს?**

ა) სანგრების ომი;

ბ) ხანგრძლივი ომი;

გ) უცნაური ომი;

დ) უსისხლო ომი.

(1) **15. რომელი მოსაზრებაა მართებული 1956 წლის მარტის დასაწყისში თბილისში განვითარებული მოვლენების შესახებ?**

ა) კონსტიტუციის ახალი პროექტიდან ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ამოღებამ საპროტესტო აქციები გამოიწვია. ხელისუფლებამ მიტინგები ძალის გამოყენებით დაშალა;

ბ) მოსახლეობის პროტესტი პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ზრდამ და ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია. საპასუხოდ ხელისუფლებამ მასობრივი რეპრესიები დაიწყო;

გ) ქართული კულტურის ძეგლების დაცვის მოთხოვნით დაწყებული აქცია დიდ საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა. ხელისუფლებამ აქციის ლიდერები და აქტიური მონაწილეები დააპატიმრა;

დ) საპროტესტო გამოსვლების მიზეზი გახდა სტალინის კულტის დაგმობა. ხელისუფლებამ პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ ჯარი გამოიყენა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართლის სამეფოსთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. არტაგსა და პომპეუსს შორის ზავის გაფორმება
2. ფარნავაზის მიერ საერისთავოების ჩამოყალიბება
3. ფარსმან I-ის მცდელობა, გავლენის ქვეშ მოექცია სომხეთი

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.

1. ევროპელთა გაერთიანებული ჯარის დამარცხება ნიკოპოლთან
2. გამარჯვება ქალაქ მოჰაჩთან გამართულ ბრძოლაში
3. სულთნის ტყვედ ჩავარდნა ანკარის ბრძოლაში

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნეში მოღვაწე პოლიტიკოსები მათი სახელმწიფოს სათავეში მოსვლის დროის მიხედვით.

1. ფრანსისკო ფრანკო
2. ადოლფ ჰიტლერი
3. ბენიტო მუსოლინი

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კრაკოვის გადაწვის შემდეგ მონღოლებმა წინსვლა განაგრძეს. ამასობაში სილეზიის ჰერცოგმა ჰენრიკმა ევროპელთა ჯარი შეკრიბა. აქ იყვნენ როგორც რაინდები, ისე მახლობელი რეგიონებიდან შეგროვილი ქვეითი გლეხები და მაღაროელები. ჰენრიკთან შესაერთებლად გაემართა ბოჰემიის მეფეც. მონღოლებმა გადაწყვიტეს, არ დაეშვათ მათი გაერთიანება. ამიტომ სასწრაფოდ გაეცალნენ ვროცლავს და იქითკენ დაიძრნენ, საითაც ჰერცოგი ეგულებოდათ. ჰენრიკი არ დაელოდა ბოჰემიელებს და ერთ-ერთი ქალაქის მახლობლად, ველზე ბრძოლა გაუმართა მონღოლებს. ჰერცოგმა ჯარი ოთხ რიგად განალაგა. ბრძოლა პირველ რიგში მყოფი ევროპელების შეტევით დაიწყო, რომელიც მათთვის წარუმატებლად დასრულდა. მაშინ ჰენრიკმა ბრძოლაში მეორე და მესამე რიგები ჩართო. ბოლოს კი მეოთხე რიგთან ერთად პირადად გადავიდა შეტევაზე. მონღოლთა ცენტრმა ვერ გაუძლო შეტევას და გაიქცა. ევროპელთა მხედრობა მტერს დაედევნა და ქვეით ნაწილებს ჩამოშორდა. ამ დროს მონღოლთა ფლანგებმა ცეცხლი გააჩინეს, ბრძოლის ველი კვამლმა დაფარა, ხოლო შემდეგ დაბნეულ და ერთმანეთისგან დაცალკევებულ ევროპელებს ისრები დაუშინეს. ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **19.1.** რა ახალმა გარემოებამ გადააწყვეტინა მონღოლებს, სასწრაფოდ გასცლოდნენ ვროცლავს?

(1) **19.2.** რომელი ქალაქის მახლობლად მდებარე ველზე გაიმართა ბრძოლა?

(1) **19.3.** რა მოიმოქმედეს გაქცეულმა მონღოლებმა მას შემდეგ, რაც მათმა ფლანგებმა ბრძოლის ველი დააკვამლიანეს და ისრები დაუშინეს ევროპელებს?

(1) **19.4.** რომელი მეომარი მხარის გამარჯვებით დასრულდა ბრძოლა?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **20.1.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ისტორიული პროცესი, რომლის წამოწყება ასახულია ილუსტრაციაზე? დაასახელეთ ილუსტრაციაზე არსებული კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც თქვენს პასუხს ადასტურებს.

(2) **20.2.** რა ეწოდებოდა სოფლის მოსახლეობის იმ ფენას, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ილუსტრაციაზე ასახული ისტორიული პროცესისას და რა სახით დაზარალდა იგი?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **21.1.** ძველი წელთაღრიცხვის რომელი საუკუნის ვითარებას ასახავს წარმოდგენილი რუკა?

(1) **21.2.** რუკის მიხედვით, რომელ კონტინენტზე გაგრძელდა საბრძოლო მოქმედებები ძვ. წ. 204 წლიდან?

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული მწვანე ფერით გამოსახული ლაშქრობები?

(1) **21.4.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ მეთაურები, რომლებმაც ილაშქრეს აპენინის ნახევარკუნძულზე.

(1) **21.5.** რა ეწოდება ისტორიულ მოვლენას, რომელიც ასახულია წარმოდგენილ რუკაზე?

(2) **21.6.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქიდან და ვისი მეთაურობით დაიწყო საზღვაო ლაშქრობა პირენეის ნახევარკუნძულისკენ?

(2) **21.7.** მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, სად წავიდა აპენინის ნახევარკუნძულიდან მწვანე ფერით აღნიშნული ლაშქრობის ერთ-ერთი მეთაური და რუკაზე აღნიშნულმა რომელმა მოვლენამ გამოიწვია ეს გადაადგილება?

(2) **21.8.** რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის რომელ წელს დასრულდა რუკაზე ასახული მოვლენა და რომელი კონკრეტული ფაქტით?

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 22.

654 წელს არაბი სარდლის ქართლის საზღვართან მოახლოებისას ქართლის ერისმთავარმა - სტეფანოზ II-მ გადაწყვიტა მისთვის მორჩილების გამოცხადება. ერისმთავრის მრჩეველთა ნაწილი მის პოზიციას მხარს უჭერდა, ხოლო მეორე ნაწილი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ერისმთავრის გადაწყვეტილების მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ერისმთავრის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

დავალება 23.

1938 წელს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ფაქტობრივად უარი განაცხადა გერმანიისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია. საზოგადოების ნაწილი მომხრე იყო ამ გადაწყვეტილების, ნაწილი კი ეწინააღმდეგებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც პრეზიდენტის გადაწყვეტილების მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც პრეზიდენტის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24.

XVII საუკუნეში ლუი XIV-ის მეფობის დროს საფრანგეთში ფრონდას აჯანყება მოხდა.

კითხვები:

(1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.

(1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა საფრანგეთის ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

ნაწყვეტი სამხედრო ცენტრის წევრებისადმი წაყენებული საბრალდებო დასკვნიდან

ერთი წლის წინ, 1922 წლის გაზაფხულის დასაწყისში, ხანგრძლივი ურთიერთდაპირისპირების შემდეგ, საქართველოს ხუთი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია შეთანხმდა, შეეწყვიტათ ურთიერთდაპირისპირება და შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველი ერთიანი ფრონტი. 1922 წლის მარტში შედგა პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ სამხედრო ცენტრში წარდგენილი პირები. სხდომის თავმჯდომარე იყო მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ფაღავა, რომელმაც განაცხადა, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ არჩეულია სამხედრო ცენტრი: ვარდენ წულუკიძის (მენშევიკებისგან), როსტომ მუსხელიშვილის (ეროვნულ-დემოკრატებისგან), ალექსანდრე ანდრონიკაშვილის (ეროვნულ-დემოკრატებისგან), გიორგი ხიმშიაშვილის (მენშევიკებისგან) და იოსებ გედევანიშვილის (ფედერალისტებისგან) შემადგენლობით. მან დააყენა საკითხი სამხედრო ცენტრის მუშაობის შესახებ და გააკეთა მოკლე განმარტება, რომ პარტიების განკარგულებაში უკვე არის ადამიანური და მატერიალური რესურსი. სამხედრო ცენტრს მან სთხოვა დაეზუსტებინა, რა ინფორმაცია ესაჭიროებოდა ამ უკანასკნელს საერთო გამოსვლის გეგმის შესადგენად.

განხილვის შემდეგ სამხედრო ცენტრმა დაადგინა: 1) აჯანყება სრულიად კავკასიაში ერთდროულად შესაძლებელია, თუ იქნება შიდა გართულებები რუსეთში, ან რუსეთს ექნება ომი რომელიმე უცხოურ

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

სახელმწიფოსთან. აჯანყება მხოლოდ საქართველოში განწირულია; 2) სამხედრო ცენტრის ამოცანა იყო: აღერიცხა მონაწილეთა და იარაღის რაოდენობა და გამოსვლის შემთხვევაში, ეხელმძღვანელა ოპერაციისთვის; 3) სამხედრო ცენტრი ეწინააღმდეგებოდა ცალკეულ გამოსვლებს; 4) აჯანყების დრო დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამხედრო ცენტრთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს; 5) განაწილებული იქნა მოვალეობები სამხედრო ცენტრის წევრებს შორის: ანდრონიკაშვილი - თავმჯდომარე, წულუკიძე - კავშირი დამოუკიდებლობის კომიტეტთან, მუსხელიშვილი - შტაბის უფროსი; 6) მუსხელიშვილს დაევალა მოემზადებინა ცნობა ოფიცრებისა და ჯარისკაცების რაოდენობის შესახებ; 7) მენშევიკების ცეკას დაზვერვის წარმომადგენელს დაევალა, მიეწოდებინა ცენტრისთვის სამხედრო შინაარსის ცნობები.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

მუსხელიშვილი დაპირებული იყო, სამხედრო ცენტრისთვის ასევე მიეწოდებინა სამხედრო შინაარსის ცნობები, რომლებსაც ის წითელი არმიის შტაბის უფროსის თანაშემწისგან იღებდა.

პარტიებმა ვერ შეძლეს დროულად მოეხდინათ ძალთა მობილიზაცია ჩოლოყაშვილის დასახმარებლად. კავალერის არასწორი გადაადგილების გამო ჩოლოყაშვილი დასჯას გადარჩა. ჩოლოყაშვილის ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ შედგა სამხედრო ცენტრის მეორე შეკრება. იმ დროისთვის სამხედრო ცენტრის შემადგენლობას დაემატა კონსტანტინე აფხაზი (ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე). შეკრების ხელმძღვანელი იყო ნიკოლოზ ქარცივაძე - დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, განიხილეს შეიარაღებული აჯანყების საკითხი.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ქარცივაძემ მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია - მოახსენა აზერბაიჯანსა და სომხეთთან შესაძლო კავშირების შესახებ. შეიარაღებული აჯანყების საკითხისა და სამხედრო ცენტრის საქმიანობის თაობაზე თქვა, რომ შეეკრიბათ პარტიებიდან ინფორმაცია ადამიანებისა და იარაღის აღრიცხვის შესახებ. ეს მონაცემები საფუძვლად დაედებოდა აჯანყების საერთო გეგმას.

შემდგომში, დაპატიმრებამდე არ მომხდარა სამხედრო ცენტრის შეკრება. საკითხები წყდებოდა ცენტრის წევრების მიერ ქუჩაში შეხვედრისას. მოქმედების ამ მეორე, იატაკქვეშა პერიოდში, შედგა კავშირი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხების, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებთან. მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა ცენტრის მიერ მაზრებში ინტერპარტიული კომიტეტებისა და სამხედრო შტაბების შექმნა. 3 მარტს სამხედრო ცენტრის წევრები დააპატიმრეს და მისი ფუნქციონირება შეწყდა.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **25.1.** რომელ წელს არის შედგენილი წარმოდგენილი დოკუმენტი?

(1) **25.2.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ პარტიები, რომელთა წარმომადგენლებიც სამხედრო ცენტრის წევრები იყვნენ.

(1) **25.3.** დოკუმენტის მიხედვით, რომელ ორგანოს უნდა დაენიშნა აჯანყების დღე და ვისთან შეთანხმებით?

(1) **25.4.** თქვენი აზრით, რატომ იქნებოდა მხოლოდ საქართველოში დაწყებული აჯანყება განწირული?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **25.5.** დოკუმენტში არსებული რომელი ცნობით დასტურდება, რომ პარტიებს სამხედრო ცენტრის შექმნამდეც უკვე დაწყებული ჰქონდათ მოსამზადებელი სამუშაოები?

(1) **25.6.** დოკუმენტში არსებული რომელი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სამხედრო ცენტრს ჰყავდა თავისი ინფორმატორები მოწინააღმდეგის რიგებში?

(1) **25.7.** დოკუმენტის მიხედვით, რისი გაკეთება მოასწრო სამხედრო ცენტრმა საქართველოში?

(2) **25.8.** დოკუმენტის მიხედვით, რა შემთხვევებში იყო შესაძლებელი საერთო კავკასიური აჯანყების დაწყება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **25.9.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, თუ რა ევალებოდა სამხედრო ცენტრს.

(2) **25.10.** სინამდვილეში რა იგულისხმება დოკუმენტში ნახსენებ ჩოლოყაშვილის ავანტიურაში და, თქვენი აზრით, რატომ არის გამოყენებული ტერმინი ავანტიურა?

(2) **25.11.** დოკუმენტის მიხედვით, რაში გამოიხატა სამხედრო ცენტრის წევრების იატაკქვეშა მუშაობაზე გადასვლა და, თქვენი აზრით, რით იყო გამოწვეული მუშაობის ამ მეთოდის გამოყენება?

(2) **25.12.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, თუ ვისა და ვის წარმომადგენლებთან დაამყარა კავშირი სამხედრო ცენტრმა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე